



სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ენობრივი მომზადების სკოლის დებულება

გორი
2017 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) ენობრივი მომზადების სკოლის (შემდგომში - სკოლა) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. სკოლა წარმოადგენს აკადემიის საგანმანათლებლო (სტრუქტურულ) ერთეულს.

3. სკოლა თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საკანონმდებლო აქტების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აკადემიის წესდებისა, აკადემიის რექტორის სამართლებრივი აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად.

4. სკოლა ანგარიშვალდებულია აკადემიის რექტორის და რექტორის სამოქალაქო პირის სტატუსის მქონე მოადგილის წინაშე.

მუხლი 2. სკოლის ამოცანა

სკოლის ამოცანაა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეთათვის და სამოქალაქო პირთათვის უცხო ენების სწავლება და ენის ცოდნის დონის სრულყოფა;

მუხლი 3. სკოლის ძირითადი ფუნქციები

1. სკოლის ძირითადი ფუნქციებია:

ა) თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, საგანმანათლებლო გარემოს შექმნა;

ბ) აკადემიაში მოვლინებული/ჩარიცხული სამხედრო მოსამსახურეების/სამოქალაქო პირების უცხო ენებში სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებისათვის მომზადება;

გ) სასწავლო საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შემუშავება და შესაბამისი პროგრამებისა და გეგმების შედგენა;

დ) სასწავლო პროცესის დაგეგმვა-ორგანიზება;

ე) სხვადასხვა ქვეყნების თავდაცვის სამინისტროების სამოქალაქო პირთა და სამხედრო მოსამსახურეთათვის, უცხო ენების სწავლება და ენის ცოდნის დონის სრულყოფა.

ვ) აკადემიის აკადემიურ საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა.

ზ) კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობით, ამ დებულებითა და რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

2. სკოლა ახორციელებს ენობრივი მომზადების შემდეგ პროგრამებს (ინტენსიური/ნახევრადინტენსიური):

ა) ინგლისური ენის პროგრამა;

ბ) გერმანული ენის პროგრამა;

გ) ფრანგული ენის პროგრამა;

დ) თურქული ენის პროგრამა;

ე) რუსული ენის პროგრამა;

ვ) სპარსული ენის პროგრამა.

მუხლი 4. სკოლის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. სკოლა შედგება სკოლის უფროსის, სკოლის უფროსის მოადგილის და სკოლის პერსონალისაგან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელების და მასწავლებლებისაგან.

2. სკოლის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავსუფლებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი აკადემიის რექტორის წარდგინებით.

3. სკოლის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სკოლის საქმიანობას;

ბ) შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს წარუდგენს სკოლის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) წარადგენს აკადემიის აკადემიურ საბჭოში სკოლის წარმომადგენელს;

დ) უზრუნველყოფს სკოლის სასწავლო საქმიანობის ეფექტურად მიმდინარეობას;

ე) შეიმუშავებს და ადმინისტრაციის უფროსს წარუდგენს სკოლის ბიუჯეტს;

ვ) განსაზღვრავს და ანაწილებს ფუნქციონალურ მოვალეობებს მისდამი დაქვემდებარებულ პირად შემადგენლობას შორის, აძლევს მათ მითითებებს;

ზ) კონტროლს უწევს თანამშრომელთა მიერ ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებასა და დისციპლინის დაცვას;

თ) აკადემიის რექტორს და რექტორის სამოქალაქო სტატუსის მქონე მოადგილეს განსახილველად წარუდგენს წინადადებებს სკოლის მუშაობის ორგანიზაციის, დაქვემდებარებული პირადი შემადგენლობის თანამდებობაზე დანიშვნის, განთავისუფლების, გადაადგილების, შენარჩუნების წახალისების ან/და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების შესახებ;

ი) ახორციელებს აკადემიის წესდებით, ამ დებულებითა და აკადემიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. სკოლის პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვრება მათი სამუშაო აღწერილობებით რომელსაც ამტკიცებს აკადემიის რექტორი.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მიმღები ორგანოს გადაწყვეტილებით.